

## ინფორმაცია უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის, რომლებიც სწავლობენ ან გეგმავენ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სწავლის დაწყებას

**04-09-2020**

მსოფლიოში, მათ შორის საქართველოში, კოვიდპანდემიით შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა, რომლებიც საქართველოში, კერძოდ კი, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების მიზნით გადალახავენ საქართველოს საზღვარს, უნდა გაიარონ შემდეგი სავალდებულო პროცედურები:

1. Covid-19-თან დაკავშირებული PCR-ტესტირება;
2. საკარანტინო პერიოდი;
3. აიღონ Covid-19 დაზღვევა საქართველოში.
4. საკუთარი სახსრებით დაფარონ, როგორც საკარანტინო, ისე მასთან დაკავშირებული ხარჯები;

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული ჯამური ხარჯი შეადგენს, დაახლოებით, 750 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში.

### საქართველოში შემოსვლა

პირი საქართველოში შემოსვლისა და ბინადრობის ნებართვას მოიპოვებს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქართველოს მთავრობის ელექტრონულ პროგრამაში რეგისტრაციის გზით.

საქართველოს მთავრობის ელექტრონულ პროგრამაში რეგისტრაცია ხდება ვებგვერდზე: <https://stopcov.ge/>, ელექტრონული წესით, ბმულზე მითითებული სპეციალური აპლიკაციის ფორმის - „რეგისტრაციის ფორმა საქართველოში უმაღლესი განათლების მიღების მიზნით ჩამომსვლელთათვის“ - შევსების გზით:

[https://registration.gov.ge/pub/form/7\\_protocol\\_for\\_arrivals\\_in\\_georgia/kcjcpx/](https://registration.gov.ge/pub/form/7_protocol_for_arrivals_in_georgia/kcjcpx/)

პირი, რომელსაც უკვე გააჩნია საქართველოში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტის სტატუსი, უნდა ჰქონდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული და მოქმედი ბინადრობის ნებართვა.

საქართველოში შემოსვლის პერიოდში პირს უნდა ჰქონდეს საქართველოში მოქმედი სადაზღვევო კომპანიების მიერ გაცემული ჯანმრთელობის დაზღვევა (რომელიც ითვალისწინებს საქართველოში კორონავირუსის მკურნალობის ხარჯების დაფარვას).

საქართველოში შემოსვლასთან დაკავშირებით თანხმობის ან უარის შესახებ ინფორმაციას შესაბამისი პირი მიიღებს ვებგვერდზე - <https://stopcov.ge/>

## **Information for the foreign citizens that are studying or are planning to start studying at Georgian Technical University**

Having the Covid situation in the World-wide and in Georgia particularly, all foreigners that will cross the Georgian border for to continue studies at the Georgian Technical University must get through the following mandatory procedures:

1. PCR test, related to Covid-19;
2. Quarantine;
3. To get Covid-19 medical insurance in Georgia.
4. Cover quarantine and related costs;

The approximate total cost related to the above mentioned procedures is 750 USD equivalents in GEL.

## **Entry to Georgia**

The person receives a permit to enter and reside in Georgia in accordance with the procedures established by the law, by registering in the electronic program (e-program) of the Georgian Government.

Registration in the e-program is available on the website - <https://stopcov.ge/>, where is possible to fill the registration special application online form – “Registration form for those who come to Georgia for higher education”

Any person who already has the status of a student of any operating higher educational institution of Georgia must have a valid residence permit issued in accordance with the local legislation.

At the stage of entry into the territory of Georgia he/she must to have Health Insurance issued by any acting in Georgia insurance company (which implies cover of costs of corona virus treatment in Georgia)

The persons will be able to find relevant information regarding consent or refusal on entry into Georgia on the website - <https://stopcov.ge/> .